ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 240

"9" ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ. №01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა №7ბ-ში (ს/კ. №01.19.20.020.083) არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და 3[2] მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ. №01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა №7ბ-ში (ს/კ. №01.19.20.020.083) არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის №23.800.909 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ. №01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა №7ბ-ში (ს/კ. №01.19.20.020.083) არსებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივი, I კვარტალში მდებარე, I კორპუსში (ს/კ. №01.19.20.029.010) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივი, კვარტალი IV, კორპუსი 1-ში (ს/კ. №01.19.20.023.015) არსებული უძრავი ქონებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის გზით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №1 და დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულებების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

	მესაკუთრე	პ/ნ	საკუთრებაში არსებული ფართი	საერთო ფართობი	გადასაცემი ფართის საკადასტრო კოდი	საერთო ფართობი	უძრავი ქონების რეგისტრაციის ხარჯი (1 კვ.მ-ზე 286 ლარი)	დაკავებული ფართის გამოთავისუფლების ვადა
1	მაია კოქლამაზაშვილი	01027036806	01.19.20.029.010.01.028	43	01.19.20.020.080.01.01.003	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
2	ბესიკ იმერლიშვილი	01027036063	01.19.20.029.010.01.003	50.82	01.19.20.020.080.01.01.004	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
3	ფარიმან ხალილოვი	01027026433	01.19.20.029.010.01.001	64	01.19.20.020.080.01.01.005	75	21 450 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
4	ჯულიეტა გოგიაშვილი	01029002249	01.19.20.029.010.01.008	32.76	01.19.20.020.080.01.01.006	35	10 010 ლარი	ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში

5	თეონა ზაალიშვილი	01013002034	01.19.20.029.010.01.023	28.18	01.19.20.020.080.01.01.007	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
6	გალინა კუზნეცოვა	01027025735	01.19.20.029.010.01.017	28.65	01.19.20.020.080.01.01.019	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
7	სალომე კაპანაძე	01311098146	01.19.20.029.010.01.014	ბინა - 29.09 და სარდაფსართული, საცხოვრებელი ფართი - 20.04	01.19.20.020.080.01.01.020	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
8	გიზო ბოკუჩავა	713219324	01.19.20.023.015.01.011	32	01.19.20.020.080.01.01.024	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
9	მანანა ჩუტკერაშვილი	59001067373	01.19.20.029.010.01.005	33	01.19.20.020.080.01.01.025	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების

								გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
10	ინგა ბუშტრუკი	62006022436	01.19.20.029.010.01.025 და 01.19.20.029.010.01.504	ბინა 50.08 და ნახევარსარდაფი 6.78	01.19.20.020.080.01.01.030	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
11	ნარგიზა გვენეტაძე	01027056859	01.19.20.029.010.01.034	50.66	01.19.20.020.080.01.01.031	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
12	გიორგი კუპრაშვილი	41001014396	01.19.20.029.010.01.015	ბინა - 68.00 და საცხოვრებელი ფართი - 23.50	01.19.20.020.080.01.01.032	75	21 450 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
13	მორენა ჯიჯიაშვილი	01028002884	01.19.20.023.015.01.005	33.59	01.19.20.020.080.01.01.038	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ

14	ბადრი ისაშვილი	01013013584	01.19.20.029.010.01.002	ბინა - 28.42 და ნახევარსარდაფი - 34.98	01.19.20.020.080.01.01.039	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
15	ტანია რუხაძე	01027033182	01.19.20.029.010.01.033	68.7	01.19.20.020.080.01.01.040	75	21 450 ლარი	ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში
16	ნინო სადუნიშვილი	01017023567	01.19.20.029.010.01.020	28.39	01.19.20.020.080.01.01.048	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
17	ეკატერინე ლომსაძე	01019007685	01.19.20.029.010.01.016	48.8	01.19.20.020.080.01.01.058	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
18	ოფელია ჯანოიანი	01013002813	01.19.20.029.010.01.026	40.78	01.19.20.020.080.01.01.059	50	14 300 ლარი	ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული

								თანხის ჩარიცხვიდან 3 თვის ვადამი
19	ნუგზარ ციმინტია ლელა ციმინტია ლევან ციმინტია ბელა ქერქაძე	51002000041 01027051592 01027051591 01027050926	01.19.20.023.015.01.007	64	01.19.20.020.080.01.01.060	75	21 450 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
20	მზია გოცირიძე	01027044238	01.19.20.029.010.01.012	35.58	01.19.20.020.080.01.01.061	35	10 010 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
21	თეიმურაზი დიხამინჯია	01550173722	01.19.20.029.010.01.004 01.19.20.029.010.01.507 01.19.20.029.010.08.500	ბინა 69.5, სარდაფი 6.70 და ავტოსადგომი 45.92	01.19.20.020.080.01.01.063	75	21 450 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
22	ლევონ მიროიანი	01027051771	01.19.20.029.010.01.022	51.9	01.19.20.020.080.01.01.069	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ

23	გალია ავანესოვა	01027037448	01.19.20.029.010.01.032	46.52	01.19.20.020.080.01.01.087	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
24	თერეზა მენაბდიშვილი	01027003114	01.19.20.029.010.01.007	68.67	01.19.20.020.080.01.01.088	75	21 450 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
25	დალი მეტრეველი	01027050571	01.19.20.029.010.01.030	72.47	01.19.20.020.080.01.01.096	75	21 450 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
26	ანაიდა აკოფოვი	01011005028	01.19.20.029.010.01.013	ბინა 50.16 და ნახევარსარდაფი 25.27	01.19.20.020.080.01.01.097	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
27	ანა მოსესოვა	01027082052	01.19.20.029.010.01.009 და 01.19.20.029.010.01.517	ბინა 50.15 და ნახევარსარდაფი 11.65	01.19.20.020.080.01.01.114	50	14 300 ლარი	ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული

								თანხის ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში
28	როზა ნავრუზოვა	01027022135	01.19.20.023.015.01.009 და 01.19.20.023.015.01.500	ბინა 52.09 და დამხმარე სათავსო 10.80	01.19.20.020.080.01.01.115	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
29	ვლადიმერ მუჯირიშვილი	01027029215	01.19.20.029.010.01.031 და 01.19.20.029.010.01.506	ბინა 50.66 და სარდაფი 19.30	01.19.20.020.080.01.01.041	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
30	ნანა ელიზბარაშვილი	13001009667	01.19.20.029.010.01.035 და 01.19.20.029.010.01.518	ბინა 43.17 და სხვენი 29.58	01.19.20.020.080.01.01.086	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
31	მარინე ჩლაიძე	01601135560	01.19.20.029.010.01.019 (მუნიციპალიტეტის საკუთრება)	52.89	01.19.20.020.080.01.01.125	50	14 300 ლარი	ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში

32	მარინე შაბურიშვილი	01027005895	01.19.20.029.010.01.027	ბინა 72.33 და სარდაფი 23.82	01.19.20.020.080.01.01.008	75	21 450 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
33	ციალა წურწუმია	01029015442	01.19.20.029.010.01.010 და 01.19.20.029.010.01.010ა	ბინა 66.94 და სხვენსართული 62.80	01.19.20.020.083.01.01.034	75	21 450 ლარი	ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში
34	ნაზი პეტრიაშვილი	14801029792	01.19.20.029.010.01.029	43.57	01.19.20.020.083.01.01.018	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ
35	ნიკოს ხუბულური	01027059581	01.19.20.029.010.01.011	46.72	01.19.20.020.080.01.01.143	50	14 300 ლარი	არ ცხოვრობს - დაკავებული ფართი გამოათავისუფლოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ

დანართი N2
პროექტი

ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ.თბილისი, _____2023წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი [●] მიერ პ/ნ: [●]) და მეორე მხრივ, (შემდგომში - „ქონების შემძენი“ [●] (პ/ნ [●]) მის: [●], ვდებთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას: [●] (საკადასტრო კოდი: N[●])
უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: მომზადების თარიღი

1.3 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს:
[●] (საკადასტრო კოდი: N[●])
[ვისაც საკუთრების უფლება არ აქვს რეგისტრირებული მათთვის: - ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს 01.19.20.029.010.01.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკუთრების უფლებას/მოთხოვნის უფლებას და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. ამასთანავე, ქონების შემძენი უარს ამბობს: აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე, სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ასევე უარს ამბობს მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე.]

1.4 სააგენტო ქონების შემძენს გადაუხდის გადაცემული უძრავი ქონების რემონტისთვის [●] ლარს, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე, 1.3 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის შემდგომ 3 (სამი) თვის ვადაში, უძრავი ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
(საბანკო რეკვიზიტები - [●])
[ვისაც საკუთრების უფლება არ აქვს რეგისტრირებული მათთვის: - სააგენტო ქონების შემძენს გადაუხდის გადაცემული უძრავი ქონების რემონტისთვის [●] ლარს, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) თვის ვადაში, უძრავი ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
(საბანკო რეკვიზიტები - [●])]

დანართი N2
პროექტი

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობები

2.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს სიმბოლური ფასით - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და მისი გადახდა ქონების შემძენის მიერ განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773306
დანიშნულება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების გაყიდვიდან.

2.3. ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელების გზით, არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ქონების შემძენის სახელზე, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მიბმული ვალდებულების რეგისტრაციის დღისა.

2.4. ქონების შემძენმა ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ფაქტობრივად გამოათავისუფლოს და ფაქტობრივად გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა და რეგისტრაცია

3.1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულების 1.3 პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2. ქონების შემძენს ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

3.3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად, ხელშეკრულების 1.3 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების ამონაწერში ვალდებულებად დარეგისტრირდება ხელშეკრულების 1.4 პუნქტით გათვალისწინებული რემონტის საფასურის გადახდის ვალდებულება და შესაბამის საჯარო რეესტრიდან ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „სააგენტო ვალდებულია გადაიხადოს რემონტის საფასური“.

3.4. სააგენტო უძრავ ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობას გასცემს ქონების შემმენის მიერ საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურებისა, ამავე ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულებისა და ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელზე, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, რეგისტრაციის (სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ამონაწერის წარმოდგენიდან) შემდგომ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში.

3.5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე ქონების შემმენის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების გასხვისება, იპოთეკით ან/და სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვა დასაშვებია მხოლოდ სააგენტოს წერილობითი თანხმობით.

3.6. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს ქონების შემმენი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1 სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით. ასევე, ამ პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე არ ირიცხება არანაირი კომუნალური გადასახადი და დავალიანება.

4.2 ქონების შემმენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, არ არის ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით. ასევე, არ ირიცხება არანაირი კომუნალური გადასახადი და დავალიანება.
[ვისაც საკუთრების უფლება არ აქვს რეგისტრირებული მათთვის: - ქონების შემმენი აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მის ფაქტობრივ მფლობელობაშია [●] წლიდან და არსებობენ მესამე პირები, ვისაც აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით აქვთ რაიმე სახის პრეტენზია.]

4.3 ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი და ნივთობრივი მდგომარეობა შეთანხმებულია მათ შორის და არ არის სადავო.

4.4 ქონების შემმენი აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებას არსებულ უძრავ ქონებას თავისი მფლობელობიდან გამოათავისუფლებს და ფაქტობრივად გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (---) განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ ვადაში [დაუყოვნებლივ/ხელშეკრულების 1.4 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში].

4.5 ქონების შემმენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

4.6 საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურებამდე, ქონების შემმენს არ აქვს უფლება, სააგენტოს თანხმობის გარეშე გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად

უფლებრივად (მათ შორის - იპოთეკით) დატვირთოს პრივატიზების საგანი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია შეძენილი ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

4.7 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია საპრივატიზებო პირობის და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4.8 საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურებამდე პრივატიზების საგნის გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია უძრავი ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე საპრივატიზებო პირობით და ვალდებულებებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით (პრივატიზების საგნის გასხვისებამდე ქონების შემძენმა წინასწარ უნდა გააცნოს ეს ხელშეკრულება ახალ მესაკუთრეს). უძრავი ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სააგენტოს.

4.9 ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადაცემით, იგი უარს აცხადებს ამ ქონებასთან ან/და ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან გამომდინარე სხვა ნებისმიერ შესაძლოა მოთხოვნაზე, მათ შორის, სხვა უძრავი ქონების ან/და სხვა მატერიალური სიკეთის მიღებასთან დაკავშირებით, ასევე, უარს აცხადებს აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერ საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ.

4.10 ქონების შემძენი ადასტურებს, რომ ეთანხმება ხელშეკრულების 1.4 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავი ქონების რემონტისთვის განსაზღვრული თანხის ოდენობას, აღნიშნული ოდენობა მისთვის მისაღებია და აღნიშნულთან დაკავშირებით, არ აქვს და არც ექნება პრეტენზია ან/და რაიმე სახის მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ.

4.11 ქონების შემძენი ადასტურებს, რომ იგი უარს აცხადებს ნებისმიერი სახის მოთხოვნის უფლებაზე 1.3 პუნქტით გათვალისწინებულ ქონებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე და აღნიშნულ შესაძლო მოთხოვნის უფლებას/ნებისმიერ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

4.12 ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ვალდებულება უქმდება სააგენტოს მიერ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ამ ხელშეკრულების მეორე მხარის ან სხვა პირის თანხმობას. სააგენტოს წერილობით მოთხოვნასთან ერთად სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარედგინოს თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა, პირგასამტეხლო

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო. ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

5.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის

გადასახდელი ნაწილის სრულად გადახდამდე ან სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლამდე, იმის მიხედვით რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.

5.3 ამ მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლოს 100 (ასი) ლარი ყოველ ვაგადაცილებულ დღეზე.

5.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სააგენტოს მიერ დაწესებულ დამატებით ვადაში შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

5.5 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული
პირგასამტეხლოდან).

5.6 ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული ქონება (ან მისი გამიჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი უფლების ობიექტები) ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მიექცევა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში). ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირდება სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ქონების შემძენის ან სხვა ნებისმიერი პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

6.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

7.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

დანართი N2
პროექტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო

[●] ----------

[●] ----------

დანართი N3

ხელშეკრულება
უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის
საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ქ. თბილისი

---------- 2023წ.

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი და ხელშეკრულების მხარეები

1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 111-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების საფუძველზე, ეს ხელშეკრულება ფორმდება ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო"), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, (წარმოდგენილი [●] მიერ - პ/ნ: [●]) და მეორეს მხრივ, [●] (პ/ნ: [●], მის: ქ. თბილისი, [●]) (შემდგომში - „გადამცემი") შორის.

1.2. ამ ხელშეკრულებით, „გადამცემი" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკუთრებაში იღებს უძრავ ქონებას (შემდგომში -„ხელშეკრულების საგანი"): [●] (საკადასტრო კოდი: [●]).
უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] – მომზადების თარიღი [●]
უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] – მომზადების თარიღი [●]

მუხლი 2. საკუთრების უფლების გადაცემა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის ხარჯები ეკისრება სააგენტოს.

მუხლი 3. მხარეთა განცხადებები

3.1. „გადამცემის" განცხადებით, ხელშეკრულების საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მას, ხელშეკრულების საგანი არ არის იპოთეკით დატვირთული. არ არის ყადაღადადებული, რაც დადასტურებულია ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

3.2. „გადამცემი" ადასტურებს, რომ ხელშეკრულების საგანზე არ ირიცხება არანაირი კომუნალური დავალიანება.

3.3. „გადამცემი" ადასტურებს, რომ იგი უარს აცხადებს ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, რომელიც გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონებიდან. ამასთან, უარს ამბობს მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე.

3.4. „გადამცემი" ადასტურებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებას თავისი მფლობელობიდან გამოათავისუფლებს ხელშეკრულების ხელმოწერიდან დაუყოვნებლივ.

მუხლი 4. სხვა პირობები

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

4.2 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

4.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

4.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით.

4.5 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ – ქონების მართვის სააგენტო
(წარმოდგენილი [●] მიერ - პ/ნ: [●])

_____

[●] (პ/ნ: [●])

_____